საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/228

ქ. ბათუმი 27 სექტემბერი, 2022 წელი

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ (2022 წლის მიღება (პირველი ნაკადი)) საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, **,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების კოორდინატორის) 2022 წლის 26 სექტემბრის **N1154959** სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე **,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ (2022 წლის მიღება (პირველი ნაკადი)** კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **მადონა მიქელაძე** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, **კომისიის თავმჯდომარე;**

ბ) **მანანა პატარაია** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, **კომისიის მდივანი;**

გ) მამუკა გოგელია - ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

დ) **მარინა ქორიძე** - ბსუ-ს პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, **პროგრამის განმახორციელებელი პირი;**

ე) **რუსუდან ხუხუნაიშვილი** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი, **პროგრამის განმახორციელებელი პირი;**

ვ) **თეა ქოიავა** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, **პროგრამის განმახორციელებელი პირი;**

ზ) **ნინო გუგუშვილი** - ეპიდემიოლოგი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის სამმართველოს უფროსი, **დამსაქმებელი;**

2. კომისიამ იხელმძღვანელოს ,,**ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანებით,** მსმენელების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
3. კომისიამ იმუშაოს 2022 წლის 27 სექტემბერს, დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის აქტები" და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**